საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0506/597/25

06/05/2025

მოქ. მაია სესიაშვილს

29.04.2025 #0429/217/25 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე (ს.კ.01.17.01.138.00) ფიქსირდება სს ,,თელასის" კუთვნილი 35კვ-ს საჰაერო ხაზი (,,ნარიყალა 1-2"), მიმდებარედ დგას ს/ქ (1674) .

შენობის დემონტაჟისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

საჰაერო ხაზის დაცვის ზონაში სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხელით, მანძილი ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული იარაღებიდან, სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან 6/10/35კვ. დენგამტარ ნაწილებამდე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2მ (აღნიშნული მანძილი განისაზღვრება ადამიანის მიერ გამოყენებული ხელსაწყოს ბოლოდან, საჰაერო ხაზის განაპირს სადენამდე).

შენობის დემონტაჟისას საჰაერო ხაზის დაცვის ზონაში მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა არ მოხდეს დასაშვებ მანძილზე ახლოს სამშენებლო ნარჩენების, მათ შორის მტვრის მოხვედრა.

საჰაერო ხაზის დაცვის ზონაში სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს სს ,,თელასის" შესაბამისი სამსახურის წარმადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ.

სამუშაოების შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოში მოქმედი ყველა დოკუმენტის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს სამუშოების უსაფრთხოდ შესრულებას, მათ შორის:

საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ".

საქართველოს მთავრობის 17.12.2013წ. N340 დადგენილება (ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ).

საქართველოს მთავრობის 27.10.2017წ. N477 დადგენილება (ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ).

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე თქვენი შრომის უსაფრთხოების სპეციალიტის მიერ შემუშავებული უნდა იყოს რისკების შეფასების დოკუმენტი და გათვალისწინებული იყოს სხვა სავალდებულო მოთხოვნები.

იმის გათვალისწინებით, რომ სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მომიჯნავე ტერიტორიაზე ს.კ.01.17.01.138.003 და მასზე განთავსებული ელ.მოწყობილობების მიმდებარედ, სავალდებულოდ მიგვაჩნია სამუშაოების შეთანხმება ტერიტორიის და ელ.ქსელის მეპატრონეებთან.

სს „თელასი" არ იქნება წინააღმდეგი სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაციია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

27.03. 2025
N60000546

ქალბატონ მაია სესიაშვილს
ელ ფოსტა: sesiashvilimaiko@gmail.com;
ტელ: (+995) 5 93 62 46 02;

ქალბატონო მაია,

კომპანიაში შემოსულია თქვენი 2025 წლის 12 03 2025 წლის წერილი (შემ. #10000642) და 17 03 2025 წლის წერილი (შემ.#10000648), რომლის თანახმადაც ითხოვთ შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტის" კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს.კ. 01.17.01.01.138.054) დემონტაჟზე სს „ეპ ჯორჯია გენერაციის" (შემდგომში კომპანია) თანხმობას, რადგან აღნიშნული შენობის ნაწილი გადმოსულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.17.01.138.003).

კომპანია ყურადღებით გაეცნო შემოსულ წერილებს და გაცნობებთ, მზადაა განიხილოს თანხმობის საკითხი, როდესაც წარმოდგენილი იქნება დემონტაჟის მუშა პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი:

1. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებაში მითითებული პუნქტი # 3;
2. დემონტაჟის სამუშაოები დაზუსტდეს ადგილზე კომპანიის კუთვნილი ორთაჭალა ჰესის ხელმძღვანელთან ბ-ნ ვალერი ლომთათიძე ტელ: 577 35 07 65;
3. აღნიშნული საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები შესრულდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო წესების და კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად;
4. საპროექტო/სამშენებლო სამუშაოების დაწყება დასრულების გეგმა-გრაფიკი შეთანხმდეს კომპანიის კუთვნილი ორთაჭალა ჰესის ხელმძღვანელთან ბ-ნ ვალერი ლომთათიძე ტელ: 577 35 07 65;
5. შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტის" კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს.კ. 01.17.01.01.138.054) დემონტაჟის პროექტირება/სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ან შემდგომ პერიოდში, დემონტაჟის პროექტირება/სამშენებლო სამუშაოების მიზეზით კომპანიის კუთვნილი ქონების დაზიანების შემთხვევაში, აღდგენით სამუშოებზე გაწეული შრომითი და მატერიალური დანახარჯები, ასევე ამ შესაძლო დაზიანებით გამოწვეული გამომუშავების დანაკარგით გამოწვეული ფინანსური ზარალი ანაზღაურდება შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტის" მიერ.

EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაცია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

6. წარმოდგენილი მინდობილობა იყოს სათანადო წესით დამოწმებული.
7. ასევე გაცნობებთ, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.17.01.138.003). ასევე განთავსებულია სს „თელასის" კუთვნილი ენერგო დანადგარები, და აუცილებელია შპს „ნირან პროპერტის დეველოპნენტის" კუთვნილი შენობა-ნაგებობის (ს.კ. 01.17.01.01.138.054) ნაწილის დემონტაჟის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოებზე თანხმობა მიღებულ იქნას სს „თელასის"-სგანაც.

პატივისცემით,

დიან დიმოვი

დირექტორთა საბჭოს წევრი